ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 93

"15" მაისი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.12.014.109) შპს „ორიგინალი +"-სთვის (ს/ნ: 400081095) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 37 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.12.014.109) შპს „ორიგინალი +"-ისთვის (ს/კ:400081095) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 5 მაისის №20.472.622 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების შპს „ორიგინალი +"-ისთვის (ს/კ 400081095) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5400 (ხუთი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**